

რატომ შეუწყო ხელი სახელმწიფომ ფასების სპაკულაციურ ზრდას და ვინ როგორ მოითხო ხელილ ლარის ვარდნით

ჟურნალი “თბილისელები” – 24-30 ნოემბერი, № 48, 2008

ვიღრე გამყარდებოდა, არცთუ მცირე ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დოლარი უფასურდებოდა, თუმცა ამას არათუ არსებითი, საერთოდ არანაირი გავლენა არ მოუხდენია ფასების ცვლილებაზე, რა თქმა უნდა, შემცირების მიმართულებით. მაგრამ ერთ არამშენიერ დღესაც დოლარი მყისიერად გამყარდა და უცბად გაიკვია, რომ, რათა კომპანიები არ დაზარალდნენ, ფასებმა უნდა მოიმატოს (და მერე რა, რომ მოსახლეობის ხარჯზე ამერიკული ვალუტის გამყარებამდეც იხეირეს). თავისუფალი ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებითაც, რომ სახელმწიფომ არ დაიტოვა ფასების რეგულირების არანაირი მექანიზმი, ჩვენს ქვეყანაში ფასები მართლაც გიჟივით თავისუფალია. მეორე მხრივ, ამბობენ, რომ დოლარის ნახტომისებურ გამყარებაში თავისი წვლილი ეროვნულ ბანკსაც მიუძღვის. ვითარება დილექტანტის ერთი შეხედვითაც მეტად საეჭვოა, შესაბამისად, ეკონომიკის ექსპერტთან, ლადო პაპავასთან, შევეცდებით იმის გარკვევას: ან რამ გაამყარა, ან რამ “დაარბილა” ამ ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსი.

– რამდენად ბუნებრივია ეროვნულ ვალუტის ირგვლივ ბოლო პერიოდში შექმნილი ვითარება?

– ლარის გაუფასურებამდე, მხედველობაში მაქვს ლარის ის უმნიშვნელო გაუფასურება, რომელიც რუსეთის აგრესიის შემდეგ დაიწყო, საქართველოში ლარი დოლართან მიმართებაში მყარდებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველო, 2004 წლიდან მოყოლებული, დააგადებული იყო

“პოლანდიური დაავადებით”, რაზეც ადრე არაერთხელ მისაუბრია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ – “პოლანდიური დაავადება” ეს არის დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით; საქართველოში ბოლო პერიოდში ამის ორი ძირითადი წყარო არსებობდა: უცხოური ინვესტიციები – უცხოელები ქართულ ეკონომიკაში შემოდინდნენ დოლარებით, მაგრამ ტრანსაქცია ხორციელდებოდა საქართველოს ერთადერთ კანონიერი საგადასხდელო საშუალებით – ლარით, რის გამოც იზრდებოდა მოთხოვნილება ლარზე. ამის პარალელურად, გაიზარდა საქართველოდან გასული ჩვენი თანამემამულეების მიერ საკუთარი ოჯახის წევრებისთვის გამოგზავნილი ფულადი გზავნილები. ანუ, პრაქტიკულად, დიდი ოდენობით უცხოური ვალუტა შემოდინდა, რამაც გამოიწვია ლარის გამყარება. ეს იყო ობიექტური და, თავისთავად, კარგი პროცესი, მაგრამ, გარკვეულწილად, საზიანო ეკონომიკისთვის. ამ დაავადებით არაერთი სახელმწიფო დაავადებული მსოფლიოში და ასე იყო საქართველოც. როდესაც უცხოური ვალუტა დიდი ოდენობით შემოდინდა, ეროვნულ ბანკს ჰქონდა ორი არჩევანი: არ ჩარეულიყო ამ პროცესში და ამას მოჰყვებოდა ლარის ნახტომისებური გამყარება, ან...

– **ეს ცუდი იქნებოდა?**

– რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ნებისმიერი ნახტომი, ანუ არაპროგნოზირებადი სიტუაცია ხელს უშლის ბიზნესს, ყველა არის გაურკვეველობაში, არაპროგნოზირებადი ტენდენციები კი ეკონომიკისთვის სასარგებლო არ არის. ამიტომაც ეროვნულმა ბანკმა მოთოკა ლარის ნახტომისებური გამყარება, რაც აბსოლუტურად სწორი იყო, იმიტომ რომ თანდათანობითი გამყარება არის პროგნოზირებადი პროცესი.

– **როგორ მოხდა, რომ ლარმა აგვისტოს შემდეგაც შეინარჩუნა სიმყარე?**

– ეროვნული ბანკის ქმედება 2004 წლიდან მოყოლებული იყო აბსოლუტურად სწორი, რადგან მან ქვეყანას ააცილა ლარის ნახტომისებური გამყარება და ხელი შეუწყო მის თანდათანობით, მცოცავ გამყარებას, ამით სიტუაცია გახდა პროგნოზირებადი და გაზარდა ეროვნული ბანკის რეზერვები. შესაბამისად, თუ 2005 წლის დასაწყისისათვის ეროვნული ბანკის

რეზერვი 200 მილიონი იყო, 2007 წლის შემოდგომაზე რეზერვებმა მილიარდ-ნახევარს მიაღწია. მაგრამ საქართველოს ეკონომიკას სირთულეები დაეწყო 2007 წლის ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ: ქვეყანას შეეღალა იმიჯი, რამაც შეამცირა ინვესტიციების შემოდინება, თუმცა 2008 წლის დასაწყისიდან ინვესტიციების დინამიკა კვლავ მზარდი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ არ შემცირებულა ჩვენი თანამემამულეების მიერ გადმორიცხული ფულადი გზავნილები, მაგრამ 2008 წლის გაზაფხულიდან დაიწყო გლობალური ფინანსური კრიზისი, ამას დაემატა აგვისტოში რუსეთის აგრესია და უკვე სექტემბრიდან ჩამოყალიბდა შემდეგი ტენდენცია: საქართველოში ინვესტიციების შემოსვლამ დაიკლო ორი მიზეზის გამო – ჯერ ერთი, გლობალური ფინანსური კრიზისია და ინვესტორებს უჭირთ თავისუფალი რესურსის მოძიება, მით უმეტეს ისეთ ინვესტორებს, არაბები მყავს მხედველობაში, რომელთა ძირითადი შემოსავალი ნავთობთანაა დაკავშირებული და მეორე, საქართველოს იმიტომაც არიდებენ თავს, რომ რუსული აგრესია თითქოს ჩაწყნარდა, მაგრამ დასრულებული არ არის. ამაზე თვალს ხუჭავს ევროპა, მაგრამ ინვესტორები თავს არ მოიტყუებენ და არ ჩადებენ ფულს ისეთ ქვეყანაში, სადაც რუსული აგრესია არ ჩამცხრალა. ამიტომაც, ბუნებრივია, აგვისტოდან მოყოლებული უცხოური ინვესტიციები შემცირდა.

– თუ შეწყდა, ვიყოთ რეალისტები?

– მცირე ინვესტიციები მაინც შემოდის რაც შეეხება ფულად გზავნილებს – ისინიც არ შემწყდარა, მაგრამ შემცირდა. ამას კი მარტივი ახსნა აქვს: როდესაც გლობალური ფინანსური კრიზისია, უჭირს ყველას – ამერიკელებსაც, ევროპელებსაც, რუსებსაც, უკრაინელებსაც და იმ ჩვენს ქართველებსაც, რომლებიც ცხოვრობენ ამერიკაში, ევროპაში, რუსეთსა თუ უკრაინაში და, ბუნებრივია, შემცირდა მათ მიერ გამოგზავნილი თანხის ოდენობაც. ვხედავთ, რომ რამდენიმე ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს და ქვეყანა დადგა რეალური საფრთხის წინაშე: დოლარის მასა შემცირდა, ხოლო საგარეო სავაჭრო ბალანსი კი, როგორი უარყოფითიც იყო, ისეთივე უარყოფითია. დღეს იმპორტი ოთხჯერ მეტია ექსპორტზე, ანუ ჩვენ საგარეო

ვაჭრობაში ვკარგავთ ოთხჯერ მეტ დოლარს, ვიდრე ვიღებთ ექსპორტით. ესე იგი ქვეყნის შიდა ბაზარზე თანაფარდობა დოლარსა და ლარს შორის შეიცვალა დოლარის სასრაგებლოდ. ასეთ ვითარებაში კი გაიზარდა მოთხოვნა დოლარზე. სექტემბრიდან მოყოლებული ეროვნული ბანკი ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დოლარების, პრაქტიკულად, ერთადერთი გამყიდველი იყო. ერთი თვის განმავლობაში ლარი დოლართან მიმართებაში 2,5 პროცენტით გაუფასურდა და ამაზე ეროვნულმა ბანკმა თავისი რეზერვებიდან 300 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა.

– **ადეკვატური არ იყო ხარჯი?**

– 300 მილიონის დახარჯვის შედეგად შესაძლებელი იყო 10-პროცენტიანი გაუფასურების მიღწევა, რაც შექმნიდა ტენდენციას, რომ გაუფასურების პროცესი არის პროგნოზირებადი და ამას უნდა მისცემოდა შესაბამისი ახსნაც, მაგრამ ეროვნულმა ბანკმა აირჩია მცდარი პოლიტიკა: 2,5-პროცენტიანი გაუფასურება დიდად არავის შეუმჩნევია, რეზერვებმა კი მნიშვნელოვნად დაიკლო. ასეთ ვითარებაში კი, აი, რა მოხდა: ჩვენთვის აგბედით 7 ნოემბერს, ამჯერად 2008 წლის 7 ნოემბერი მაქვს მხედველობაში, როდესაც ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე განაცხადი იყო 31 მილიონ დოლარზე, ეროვნულმა ბანკმა, მას შემდეგ, რაც პირველი ტრანსაქცია 270 ათასზე შესრულდა, შეაჩერა ვაჭრობა.

– **რატომ?**

– ეს არავინ იცის, ითქვა, ტექნიკური მიზეზების გამო. ბანკები დარჩნენ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით, ამას დაემატა ის, რომ ინფორმაციაც ვერ მიიღეს და ამან შექმნა პანიკა, დატვირთვა გადავიდა სავალუტო ჯიხურებზე და, ბუნებრივია, სავალუტო ჯიხურებიდან, პრაქტიკულად, გაქრა დოლარი, დაიცალა ბანკომატები და ასეთ მდგომარეობაში იყო ქვეყანა ორშაბათამდე. სწორედ ამიტომ ამ პარასკევის მოვლენას დავარქვი საქართველოსთვის “მწვანე პარასკევი”, იმიტომ რომ იმ დღეს ხელისუფლებამ ლარს მიაყენა სერიოზული დარტყმა და დააკნინა დოლართან მიმართებაში.

– **ვინ იხეირა ამით?**

– ორშაბათს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გააკეთა განცხადება, ეს დაგეგმილი გვქონდა, იმიტომ გავაკეთეთ, სხვა გზა არ იყო და დაამატა, რომ ეს არანაირ ზეგავლენას არ მოახდენდა ფასებზე, თუმცა ეს რომ დაგეგმილი ყოფილიყო, პარასკევს არ შეარჩევდნენ და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობაც წინასწარ გავაეთებდა განმარტებას. ეს კი ასე არ მოხდა, უფრო მეტიც, შაბათს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, როდესაც ჰკითხეს, რა მოხდაო, უპასუხა, არაფერიც არ ხდება, გლობალური ფინანსური კრიზისიაო. მითხარით, სადმე მსოფლიოში დოლარი მყარდება ნახტომისებურად? ასე რომ, იმას, რაც საქართველოში მოხდა, გლობალურ ფინანსურ კრიზისთან უშუალო კავშირი არ აქვს. აშკარაა, რომ ეს იყო შეცდომა, თუმცა შესაძლოა, მავანმა, ვინც ეს ეროვნული ბანკის ზურგს უკან დაგეგმა, ამაზე ხელიც მოითბო.

– **“ხელის მოთბობაში” რა იგულისხმეთ?**

– როდესაც იცი, რომ მოსალოდნელია ასეთი ვარდნა, წინასწარ გადაიყვან ღარებს დოლარებში და, თუ შემდეგ, გჭირდება ღარი, რჩები მოგებული.

– **რატომ შეირჩა დოლარისთვის – 1,65? ეს საბოლოო მაჩვენებელია?**

– საბოლოოდ, 1,65-ზე ვერ გაჩერდება, იმიტომ რომ უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ისევ შეფერხებულია, ასევე, უახლოეს ხანში ვერ გაიზრდება ჩვენი თანამემამულეების ფულადი გზავნილებიც, ვერც ექსპორტის გაზრდა მოხერხდება იმპორტის შემცირების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, ღარის შემდგომი დევალვაცია გარდუვალია, მაგრამ აქაც შესაძლებელია ორი სცენარი: ეს შეიძლება, იყოს თანდათანობითი დევალვაცია ან ისევ ნახტომისებური, რაც კვლავ დამანგრეველი იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის.

– **ჯერ ერთი, რატომ არ დაიკლო ფასებმა, როდესაც დოლარი 1,4 ღარი ღირდა ან რატომ მოიმატა უცბად, როდესაც 1,65 ღარი გახდა?**

– როდესაც ხდებოდა ღარის რევალვაცია, ანუ გამყარება, თითქოსდა იმპორტული საქონელი უფრო იაფი უნდა დამჯდარიყო და მართლაც

იმპორტული საქონელი უფრო იაფი ჯდება, მაგრამ არა ჩვენთვის, მომხმარებლებისთვის, არამედ იმპორტიორებისთვის. იმპორტიორმა რომ ფასი დააკლოს, ამისთვის საჭიროა, რომ ბაზარზე იყოს კონკურენცია, რაც ჩვენს ბაზარზე პრაქტიკულად არ არის. კონკურენცია კი არ არის იმ პოლიტიკის გამო, რაც გაატარა ჩვენმა მთავრობამ: ქვეყანაში არ არსებობს ანტიმონოპოლიური რეგულირების კანონმდებლობა და ჩვენი ეკონომიკის ყველა სეგმენტი არის მონოპოლიზებული. ამიტომაც რევალუაციას არ გამოუწვევია ფასების დაწვეა. დღეს კი იმპორტიორებს უკვე მიეცათ საფუძველი, რომ აწიონ ფასები. ღარი ნახტომისებურად გაიფების გამო, იმპორტიორს გაუძვირდა იმპორტული საქონელი, ამიტომაც ის ფასს მაღლა სწევს, უფრო მეტიც, იმპორტიორმა, რომელსაც საქონლის რაღაც პარტია შემოტანილი ჰქონდა და გუშინ ყიდდა დაბალი გაცვლითი კურსით, რაკი კურსი ნახტომისებურად შეიცვალა, გუშინდელ გაყიდულში ხომ ზარალი ნახა? ამიტომ ეს ზარალი უნდა ჩადოს იმ საქონლის ფასში, რომელსაც დღეს და ხვალ გაყიდის, ამას ემატება უნდობლობის ფაქტორიც.

– და აძვირებს პროდუქციას პროფილაქტიკის მიზნითაც, რომ არც მორიგი ნახტომისას დაზარდდეს.

– უკვე მომმართა რამდენიმე მეწარმემ: ხშირად გარიგებებში დებენ კურსს 1,8, როგორც თავდაცვით ღონისძიებას. მართალია, ასეთი კურსი რეალურად არ არსებობს, მაგრამ ამით ხომ კიდევ უფრო მეტ პანიკას ქმნიან? ამას გარდა, ბაზარზე ფასები, რა თქმა უნდა, ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდებით, მაგრამ როგორი კრიზისიც უნდა იყოს, ადამიანი უნდა იღებდეს საკვებს, თუ ავად გახდება, უნდა იყიდოს წამალი, ასე რომ, საკვებ პროდუქტებსა და მედიკამენტებზე, მით უმეტეს, რომ ისინი, ძირითადად იმპორტულია, რა თქმა უნდა, ფასები გაიზრდება.

– ანუ რამდენიც უნდა იყოს მოთხოვნა, ფასები მაინც გაიზრდება.

– მასობრივი მომხმარებლისთვის სულაც არ არის შეღავათი, რომ ბინებზე ფასები დაიკლებს, რადგან მისთვის მთავრია, შეიძინოს საკვები და მედიკამენტები, მით უმეტეს, რომ ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე 80 პროცენტი იმპორტული საქონელია. ფასების ზრდის გამო გაჩნდა ასეთი

კომენტარები, დოლარი გამყარდა მთელ რიგ ევროპულ ვალუტებთან მიმართებაში და მაგალითებად ასახელებენ ბულგარეთს, ბრიტანეთს, ისლანდიასა თუ ჩეხეთს, მაგრამ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ საგარეო ვაჭრობა არ გვაქვს დარეგულირებული ჩეხური კრონით, კონტრაქტები ფორმდება დოლარებში: საგარეო სავაჭრო კონტრაქტების 70 პროცენტი გაფორმებულია დოლარებში, 30 პროცენტი კი – ევროში და რა მნიშვნელობა აქვს, რომელიმე ქვეყანაში როგორი მიმართებაა დოლართან? საქმე ის არის, რომ, გვინდა თუ არა, ფასების ზრდა აშკარაა. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა არ არის ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, ამ ეკონომიკურ პოლიტიკას მხოლოდ ერთი სახელი აქვს – ამას ჰქვია ვოლუნტარიზმი.

ნინო ხაჩიძე